

## “სიყვარულის” კონცეპტის მეტაფორიზაცია ქართულში

თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია დარგთაშორისი დისციპლინების განვითარება, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც გახლავთ კულტუროლოგიური კვლევების გააქტიურება. დღესდღეობით სადავო აღარ არის ენის უდიდესი როლი კაცობრიობის კულტურის ფუნდამენტური საკითხების გარკვევაში. ჯერ კიდევ ედუარდ სეპირი წერდა, რომ ლინგვისტური მონაცემების ღირებულება უმნიშვნელოვანესია ანთროპოლოგიისა და კულტურის ისტორიისათვის. ნებისმიერი ცივილიზაციის კულტურულ სტერეოტიპთა სისტემა ერთგვარად წესრიგში მოჰყავს ენას (1: 160). ენა კულტურის არსებობის განსაკუთრებული ფორმაა, კულტურულ კოდთა ჩამოყალიბების ფაქტორია. ყოველ ენას სამყაროს კონცეპტუალიზაციის თავისებური, განსაკუთრებული ხერხები აქვს. ენაშია ასახული ადამიანის ცოდნა გარესამყაროზე, ვინაიდან ეს ცოდნა სიტყვით გამოიხატება.

ლინგვოკულტუროლოგიის, როგორც სინთეზური დისციპლინის, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა იმ ადეკვატური ენობრივი საშუალებების გამოვლენა, რომლებიც კონკრეტულ კულტურულ ერთეულს გამოხატავენ. ამ დარგის ძირითადი ტერმინია კონცეპტი. კონცეპტი, როგორც ლექსიკური სემანტიკის ერთეული, კულტურული ნიშნით აღბეჭდილი ვერბალიზებული აზრია, რომელიც შესაბამისი ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმით გამოიხატება. კონცეპტთა ერთობლიობა შეადგენს მოცემული ენის კონცეპტოსფეროს, რომელშიც კონცენტრირებულია კულტურა.

ბევრი თანამედროვე ავტორიტეტული მეკლევარი უსვამს ხაზს მეტაფორული სიტყვების, ფრაზეოლოგიზმებისა და ანდაზების მნიშვნელოვნებას კულტუროლოგიურ კვლევებში. კოგნიტოლოგიის თვალსაზრისით, მეტაფორა სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს აღქმის იარაღი, ვინაიდან მისი საშუალებით იქმნება სამყაროს ენობრივი სურათი.

მეტაფორის მრავალ თეორიათა შორის ამჟამად ყველაზე ფართოდაა გავრცელებული “კონცეპტუალური მეტაფორის თეორია”, რომლის ავტორებიც არიან ამერიკელი ანთროპოლოგი და ლინგვისტი ჯორჯ ლაკოფი და ფილოსოფოსი მარკ ჯონსონი (2). თუ მანამდე, მეტაფორის კვლევის ორიათასწლიანი ისტორიის მანძილზე, ამ მოვლენას, პირველ რიგში, ენობრივი ფორმის თვალსაზრისით განიხილავდნენ და განმარტავდნენ როგორც მხატვრული მეტყველების ხერხსა და ენის პოეტური ფუნქციის რეალიზაციას, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია მას, უპირველეს ყოვლისა, მიიჩნევს სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხად. გადატანას ექვემდებარება არა ნომინალური მნიშვნელობა, არამედ მთელი კონცეპტუალური სტრუქტურა, რომელიც ენის მატარებელში აქტივირებულია რომელიმე სიტყვით იმის წყალობით, რომ არსებობს კავშირი ამ სიტყვასა და მოცემულ კონცეპტუალურ სტრუქტურას შორის.

ადამიანი, რომელიც ცხოვრობს, ურთიერთობს, მოქმედებს ცნებების, ხატების, სტერეოტიპების, ღირებულებების, იდეების და სხვა მსგავსი ფენომენოლოგიური

კოორდინატების სამყაროში, ამავე დროს ყოფიერების სიღრმისეულ დონეზე ცხოვრობს, ურთიერთობს, აზროვნებს და მოქმედებს კონცეპტების სამყაროში. იმის გასარკვევად, თუ რა სქემებით ხელმძღვანელობს ადამიანი აზროვნებისას და მოქმედებისას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ლაკოფმა და ჯონსონმა ენას მიმართეს და დიდძალი ენობრივი მასალის გაანალიზების შედეგად დაასკვნეს, რომ არა მარტო ჩვენი ენა, არამედ აზროვნებაც მნიშვნელოვანწილად მეტაფორულია და, რომ ადამიანის ცნებითი სისტემა მეტაფორებითაა განსაზღვრულ-განპირობებული. მეტიც, მეტაფორული ენობრივი გამონათქვამის არსებობაც მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ ადამიანის ცნებით კატეგორიაში არსებობს მეტაფორები (2: 3). ლაკოფისა და ჯონსონის აზრით, მთელი კონცეპტოსფერო, თავისი არსით, მეტაფორულია. მეტაფორულ კონცეპტუალიზაციას ექვემდებარება აბსტრაქტული სფერო, მათ შორის ემოციური სამყაროც. კონცეპტუალური მეტაფორა გულისხმობს ერთი აბსტრაქტული კონცეპტის გადმოცემას მეორეთი. ავტორებმა ბევრი ემოციური კონცეპტი გაანალიზეს, მათ შორის “სიყვარულიც”. გაირკვა, რომ ინგლისურ ენაში კონცეპტი “სიყვარული” მეტაფორულად რამდენიმე სხვა კონცეპტით გადმოიცემა. ერთ-ერთია “მოგზაურობა” – “Love is a journey”, ეს კი სასიყვარულო ურთიერთობის აღსაწერად ისეთი გამოთქმების არსებობის საშუალებას იძლევა, როგორებიცაა: “ჩვენს ურთიერთობას არსად მიყვარათ”, “ჩვენი ურთიერთობა ჩიხში შევიდა”, “ჩვენი მძიმე და გრძელი გზა გამოვიარეთ”, “უკან მისაბრუნებელი გზა აღარ გვაქვს”, “ახლა სხვადასხვა გზით უნდა წავიდეთ” და სხვ.

ჩვენი განხილვის საგანიც იქნება კონცეპტი “სიყვარული” ქართულში. ცნობილია, რომ ეს სიტყვა ბევრ სხვადასხვაგვარ ურთიერთობას აღნიშნავს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მოიხედვით, *სიყვარული* არის 1) ვისიმე ან რისამე მიმართ ერთგულების, თავდადების, კეთილგანწყობის გრძნობა (*დედის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, საქმის სიყვარული*), 2) რისამე ძლიერი სურვილი, ნდობა, მისწრაფება, მიდრეკილება (*მუსიკის სიყვარული*), 3) ტრფიალი, მიჯნურობა, 4) ადამიანი, ვისადმიც ასეთი გრძნობა აქვთ. *ტრფიალი*, იგივე *ტრფობა* ნიშნავს: 1) სიყვარულს (*ქალ-ვაჟის ტრფიალი*), 2) ძლიერ სურვილს, მიდრეკილებას (*ფულის ტრფიალი*), 3) მოტრფიალეს (*ნადირობის ტრფიალი*). *მიჯნურობა* მხოლოდ ქალ-ვაჟის სიყვარულს აღნიშნავს. ჩვენც ამგვარი სიყვარული გვაინტერესებს. “სიყვარულის” სინონიმებია: *ტრფობა, ტრფიალი, მიჯნურობა, არშიყობა, აშიკობა, კურკური, შეჟუჟუნება. მიჯნური* ნიშნავს *შეყვარებულს*, რაც სხვა სიტყვებითაც გადმოიცემა: *შეშხებული, მოტრფიალე, გამიჯნურებული, მოყვარე, მოყვარული, სატრფო*. მიჯნური ნიშნავს *საყვარელსაც*: იარი, გულის მურაზი, გულის ვარდი, ნანდაური, სულის კოლოფი, გულის ტოლი, გულის სწორი. *შეყვარდება*, ანუ *სიყვარული აღექვრება*, *სიყვარული გაუჩნდება*, *გულში ჩაუვარდება*, *გუნებაში მოუვა* (ჩაიდებს), *გული შემოუვარდება/ შეუვარდება* (ვინმეზე), *გული (თვალი) შევარდება* (ვინმეზე). *უყვარს*, ანუ *მოსწონს*, *თვალში მოსდის*, *შეჰხარის* (ვისმე), *გული აქვს* (ვინმეზე) *შევარდნილი*, *გულში ჰყავს ჩაგარდნილი*.

სიყვარული არის გრძნობა, რომელიც გამოწვეულია სიყვარულის ობიექტის ცენტრალური ადგილით სუბიექტის ღირებულებათა სისტემაში. ამასთან, ობიექტის შერჩევა რაციონალურად არამოტივირებულია. სუბიექტს, ანუ მოყვარულს სურვილი აქვს “პირად სფეროში” მოაქციოს ან შეინარჩუნოს ობიექტი, სურს მისთვის სიკეთე

და მზადაა მისი გულისთვის მსხვერპლი გაიღოს, უთანაგრძნობს მას, ზრუნავს მასზე და თავისი არსებობის აზრს მისი კარგად ყოფნის უზრუნველყოფაში ხედავს. ქალ-ვაჟის სიყვარული არის უნებლიე, სპონტანური გრძნობა. სიყვარულს ახასიათებს როგორც ობიექტის თავისუფალი არჩევანი, ასევე მასზე უკიდურესი დამოკიდებულებაც. სიყვარულმა შეიძლება გამოწვიოს ურთიერთსაპირისპირო გრძნობები: სიხარული და განცდა. სიყვარული არის უმაღლესი ნეტარება და მისი არსი არის ჰარმონიასა და ურთიერთშევესებაში. სიყვარული არის დადებითი ემოცია რომელიც უპირისპირდება სიძულვილს, როგორც უარყოფით ემოციას და ინდეფერენტულობას. თავისი არამოტივირებული არჩევანით კი სიყვარული უპირისპირდება სხვა დადებით ემოციებს. ეს გახლავთ პრაქტიკულად ყოველგვარ კულტურულ-ენობრივ სპეციფიკას მოკლებული სიყვარულის სემანტიკური პროტოტიპი. ახლა ვნახოთ, როგორ გადმოიცემა ეს პროტოტიპი, ანუ როგორ არის ვერბალიზებული სიყვარულის კონცეპტი ქართულ ენაში – სიტყვებში, შესიტყვებებსა და ანდაზებში.

სიყვარულის ობიექტის ცენტრალური ადგილი სუბიექტის ღირებულებათა სისტემაში:

**მზე და მთვარე ამოსდის (ამოუდის) (ვინმეზე)**

ობიექტის არამოტივირებულობა და არჩევანზე კონტროლის უქონლობა ასახულია ანდაზებში:

**დათვს თავისი მახრჩობელა პანტა უყვარდაო.  
მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო.**

(მდრ. რუსული ინგლისური ანდაზები: Любовь зла – полюбишь и козла. Love knows no season. You can't control your love.)

**სიყვარული ხახვის ფოჩი არ არის, წყალში გადააგდოო.  
ვისკენაც გული მწევს, თვალიც იქეთკენ იხედებაო.**

(მდრ. რუსული ანდაზები: Любовь не картошка: не выбросишь в окошко. Любовь не картошка: в горшке не сваришь. Любовь не пожар, а загорится – не потушишь. Из сердца не выкинешь, а в сердце не вложишь).

სიყვარული არის ბედი, ბედისწერა:

**სიყვარულს ვერ გაექცევი/ დაემალები  
სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.  
ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლქმრობა კი ზეცაში.**

(მდრ. რუსული და ინგლისური ანდაზები: Смерть да жена богом суждены. Суженного и конём не объедешь, и водой не обойдешь. Суженного не обойти, не объехать. Marriages are made in Heaven).

სიყვარული არის სიგიჟე და გონებას გვაკარგინებს:

გიჟდება (ვინმეზე)  
აფრენს (ვინმეზე)  
გაგიჟებით უყვარს  
გიჟი და ტრფიალი – ორივე ერთია.  
ტვინი/გონება/ჭკუა ეკეტება (ვინმეზე)  
თავდავიწყებით უყვარს

(მდრ. რუსული და ინგლისური გამოთქმები: Он без ума от неё. Она по нему с ума сходит. Любить до безумия. I am crazy about her).

სიყვარული არის სიბრმავე:

ჩემი ლამაზი ის არის, ვინც მე მიყვარსო.  
საყვარლის აუგზე მოყვრის თვალი ბრმაა.

(მდრ. რუსული და ინგლისური გამოთქმები: Любовь слепа, доведёт до беды и попа. Love is blind).

სიყვარული არის დიდი ძალა:

ტრფობის/სიყვარულის ძალა  
რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

(მდრ. რუსული და ლათინური ანდაზები: Любовь всё побеждает. Omnia vincit amor).

სიყვარული არის ბედნიერების წინაპირობა:

მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე ეტეოდაო.  
მოსიყვარულე ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაიძინებსო.  
კარგი გუნებით ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტევაო.

(მდრ. რუსული და ინგლისური ანდაზები: С милым и в шалаше рай. Love in a cottage).

სიყვარული მთლიანად მოიცავს სუბიექტის არსებას:

სიყვარულით სავსეა  
სიყვარულმოდებულია  
სიყვარულით მოხიბლულია  
სიყვარულით მოცულია  
სიყვარულით გამსჭვალულია  
ტრფიალით შეპყრობილია

(მდრ. რუსული: Полон любви.)

სიყვარული დაშორებით გამოიცდება:

თვალი თვალს რომ მოშორდების, გულიც გადასხვაფერდების.  
თვალიც შორსო და გულიც შორსო.

(მდრ. რუსული და ინგლისური ანდაზები: С глаз долой, из сердца вон. Far from eye, far from heart. Long absent, soon forgotten. Out of sight, out of mind. Salt water and absence wash away love).

დაბოლოს, ქართველი კაცის გაგებაში სიყვარული არის ცეცხლი, რაც განაპირობებს ასეთი გამოთქმების არსებობას:

სიყვარულით აღმოდებულია  
სიყვარულით დამწვარია  
სიყვარული გულს უდაგავს  
გულში ცეცხლს (აღს) დაუნთებს  
ცეცხლს წაუკიდებს  
სიყვარულის/ტრფობის/ეშხის ალი სწავას  
სიყვარული ჩაქრა  
ჩამწვარია  
(ვინმეს) ეშხით იწვის  
ტრფობის ცეცხლით იწვის  
იწვის და იდაგვის

როგორც ვხედავთ, “სიყვარულის” მეტაფორიზაცია ყველაზე ხშირად ხდება “ცეცხლით” თუ სხვა მეტაფორებთან დაიძებნა შედარებითი მაგალითები (მეტი, ვიდრე მოვიხმეთ) რუსულსა და ინგლისურში, “ცეცხლის” მეშვეობით “სიყვარულის” გრძნობის მეტაფორული გადმოცემა ამ ენებში არ ხდება. ეს ქართული ეთნოსპეციფიკური მეტაფორაა.

ამგვარად, ერთი და იგივე კონცეპტი სხვადასხვა ეთნოკულტურაში სხვადასხვაგვარი მეტაფორებით გადმოიცემა. ეთნოენობრივი კოლექტივის სხვადასხვაგვარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ისინი საგნის თუ მოვლენის სხვადასხვა ასპექტს გამოხატავენ. “არც ერთ ენაში არ გვეძლევა საგანი მთელი თავისი სისრულითა და მრავალწახნაგოვნებით. მხოლოდ ენათა ნაირგვარობის ფაქტების გააზრებით არის შესაძლებელი საგნის განსხვავებულ ასპექტებთან მიახლოება, რის გამოც იზრდება ენათა შედარების არა მარტო ლინგვისტური, არამედ, რაც უმთავრესია, მისი კულტურულ-ანთროპოლოგიური მნიშვნელობაც” (3: 38).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Sapir Edward, *The Status of Linguistics as a Science*, კრებულში: Selected Writings in Language, Culture and Personality, University of California Press, 1984
2. Lakoff George, Johnson Mark, *Metaphors we live by*, Chicago, 1980
3. გ. რამიშვილი, *დედაენის თეორია*, თბილისი, 2002
4. რ. ამირეჯიბი, *კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება*, თსუ მეცნიერთა შრომები, 2005
5. თ. სახოკია, *ქართული ანდაზები*, თბილისი, 1967
6. *ქველ ტ.* 1-8
7. ა. ნეიმანი, *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*, თბილისი, 1961

### Summary

*Rusudan Amirejibi*

#### **Metaphorization of the concept of “love” in Georgian**

This paper discusses the concept of “love” and its metaphors in Georgian from the perspective of cultural linguistics. The dominant conceptual metaphor for “love” in Georgian is “fire”.